




## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

---

### ზალდასტანიშვილი ჯუანშერ ვასილის ძე



ზალდასტანიშვილი ჯუანშერ ვასილის ძე (დ. 5. V. 1933, მოსკოვი), ბიოლოგი. ბიოლ. მეცნ. დოქტორი (1999), პროფესორი (2001), საქართვე. სპორტის დამს. მოღვაწე (2000), საკავშირო კატეგორიის მსაჯი თანამედროვე ხუთჭიდაში (1960), საქართვე. დამს. მწვრთნელი. საქართვე. სპორტის დამს. მუშაკი. 1957 დაამთავრა საქართვე. ფიზ. კულტურის ინ-ტი, ხოლო 1969 – თსუ-ის ბიოლ. ფაკ-ტი. 1957-2007 იყო საქართვე. ფიზ. კულტურის ინ-ტის

ფარიკაობის, მშვილდოსნობის კათედრების გამგე; დაუსწრებელი სწავლების ფაკ-ტის დეკანი; მწვრთნელთა ფაკ-ტის დეკანი; პრორექტორი; სპორტის გამოყენებითი სახეების დეპარტ. უფროსი; 2007-10 კი – ილიას უნ-ტის ბიზნესისა და სამართლის ფაკ-ტის მონვეული პროფესორი. 2004-12 იყო საქართვე. თანამედროვე ხუთჭიდაისა და ტრიატლონის ეროვნ. ფედერ. პრეზიდენტი, ხოლო 2012-იდან არის ფედერ. საპატიო პრეზიდენტი. ზ-ის სამეცნ. კვლევის სფეროა: სპორტის ფიზიოლოგია, თანამედროვე ხუთჭიდა, ფარიკაობა, ცხენოსნობა, რაიტთერაპია. გამოქვეყნებული აქვს მრავალი სამეცნ. ნაშრომი, მ. შ. სახელმძღვანელო და მონოგრაფია (ცხენოსნობა, თბ., 1993).

---